** განახლებულია საქართველოსა და ევროკავშირის საბაჟო ქვეკომიტეტის 2018 წლის 20 მარტის №1/2018 გადაწყვეტილების შესაბამისად - https://matsne.gov.ge/document/view/4116909?publication=0*

I ოქმი

წარმოშობის წესები და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდების შესახებ

მუხლი 1

შესაბამისი წარმოშობის წესები

1. ამ შეთანხმების იმპლემენტაციის მიზნებისთვის გამოიყენება „პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის შესახებ რეგიონული კონვენციის“[1] (შემდგომში კონვენცია) I დანართი და II დანართის შესაბამისი დებულებები.

2. ნებისმიერი მითითება „შესაბამის შეთანხმებაზე“ კონვენციის I დანართსა და II დანართის შესაბამის დებულებაზე განმარტებული იქნება როგორც მითითება ამ შეთანხმებაზე.

მუხილი 2

დავების მოგვარება

1. კონვენციის I დანართის 32-ე მუხლით გათვალისწინებულ შემოწმების პროცედურასთან წარმოშობილი დავები რომელთა გადაწყვეტაც ვერ მოხდება შემოწმების მომთხოვნი საბაჟო უწყებასა და შემოწმების განხორციელებაზე პასუხისმგებელი საბაჟო უწყების შორის, წარედგინება საბაჟო ქვეკომიტეტს. ამასთან, ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-14 თავით (დავების მოგვარება) გათვალისწინებული დებულებები, დავების მოგვარების მექანიზმების თაობაზე.

2. ნებისმიერ შემთხვევაში, დავები იმპორტიორისა და იმპორტიორი სახელმწიფოს საბაჟო უწყების შორის უნდა მოგვარდეს ამ ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3

ოქმში ცვლილებების შეტანა

საბაჟო ქვეკომიტეტმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება ამ ოქმის დებულებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მუხლი 4

კონვენციიდან გასვლა

1. იმ შემთხვევაში თუ საქართველო ან ევროკავშირი კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად, წერილობით წარადგენს შეტყობინებას, კონვენციის დეპოზიტართან კონვენციიდან გასვლის შესახებ, საქართველო და ევროკავშირი დაუყოვნებლივ დაიწყებენ მოლაპარაკებებს ამ შეთანხმების იმპლემნტაციის მიზნებისთვის წარმოშობის წესების განსაზღვრის თაობაზე.

2. ახლად შეთანხმებული წარმოშობის წესების ძალაში შესვლამდე, ამ შეთანხმების მიზნებისთვის გამოიყენება კონვენციიდან გასვლის მომენტისთვის ძალაში მყოფი I დანართი და II დანართის შესაბამისი დებულებები. ამასთან, გასვლის მომენტისთვის ძალაში მყოფი I დანართი

[1] OJ L 54, 26.2.2013, გვ. 4.

და II დანართის შესაბამისი დებულებები განმარტებულ იქნება ისე, რომ არსებობდეს ორმხრივი კუმულაციის საშუალება მხოლოდ საქართველოსა და ევროკავშირის შორის.

მუხლი 5

გარდამავალი დებულებები –კუმულაცია

კონვენციის I დანართის მე-16(5) მუხლის და 21(3) მუხლის დანაწესების მიუხედავად, იმ შემთხვევაში, როდესაც კუმულაცია მოიცავს მხოლოდ EFTA-ს (ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის) სახელმწიფოებს, ფარერის კუნძულებს, ევროკავშირს, თურქეთს, სტაბილიზაციისა და ასოცირების პროცესის მონაწილეებს და მოლდოვას რესპუბლიკას და საქართველოს, წარმოშობის დადგენის მიზნებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას გადაადგილების სერტიფიკატი EUR.1, ან წარმოშობის დეკლარაცია.